სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

03 ოქტომბერი 2024

N 21/10326

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს
ელ. ფოსტა: sdscaucasus@gmail.com; d11211208@hotmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №8750 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს მიმდინარე წლის 18 ივნისის №21/6371 წერილში მითითებული საკითხები და ასევე დასაზუსტებელია შემდეგი ინფორმაცია:

- მონაცემთა გადამოწმებით, წარმოდგენილი ხაზოვანი მონაკვეთები (line), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, ნაწილობრივ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის მოსაზღვრედ/მომიჯნავედ. საკითხის დეტალური განხილვის მიზნით, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ტერიტორიების (ფართობების) პოლიგონური shp ფაილები. ამასთან, წარმოდგენილ shp ფაილებში გარდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტებისა, ასევე ასახულია გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1011) გათვალისწინებული გზის ბუფერი, თუმცა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება მითითებული გზის ცვლილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, shp ფაილებში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტები და შესაბამისი ტერიტორიები. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი ქვის სამსხვრევის, სალექარების და სამშენებლო ბანაკის განთავსების ტერიტორიების shp ფაილები მცირედით აცდენილია შესაბამის საკადასტრო ერთეულებს, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ ინფორმაციაში მითითებულია, რომ „დასაშვები ზღვრების გადაჭარბების შემთხვევაში გატარდება შემარბილებელი ღონისძიებები“, თუმცა, კვლავ არ არის შეფასებული თითოეული

ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ქვის სამსხვრევის (სოფ. მუხროვანი) და სამშენებლო ბანაკის (სოფ. სართიჭალა) ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია, ასევე, წარმოქმნილი ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილების გათვალისწინებით. ამასთან, შენიშვნებზე რეაგირების ცხრილში მითითებულია, რომ ყველა შესაბამისი ობიექტისათვის მომზადდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები. ვინაიდან, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, სააგენტოსთან თითოეული ობიექტისთვის (ქვის სამსხვრევი, სამშენებლო ბანაკი) უნდა შეთანხმდეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტები (ზდგ);

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ სააგენტოსთან მშენებელი კომპანიის მიერ შეთანხმებულია ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ტექნიკური პირობები წყალაღების 5 წერტილისთვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტექნიკური პირობების მიხედვით, 4 წყალაღების წერტილის შემთხვევაში წყალაღება გათვალისწინებულია გზის ყრილის ტკეპნისთვის და ერთ შემთხვევაში, როგორც გზის ყრილის ტკეპნისთვის, ისე, ბეტონის საწარმოსთვის. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს როგორც ქვის სამსხვრევის, ისე სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებული ბეტონის 4 ქარხნის ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკური დანიშნულების წყლის რაოდენობები და წყალაღების წერტილების GPS კოორდინატები. დოკუმენტში ასევე დასაზუსტებელია თითოეული ობიექტის (ქვის სამსხვრევი, სამშენებლო ბანაკი) სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ „დაბინძურებული წყლის ჩაშვებამდე მოხდება სალექარებიდან წყლის ნიმუშების აღება თვეში ერთხელ. ჩატარდება წყლის როგორც ქიმიური, ისე მიკრობიოლოგიური ანალიზი. თუ ანალიზის პასუხები არ იქნება ნორმის შესაბამისი, წყალჩაშვება არ განხორციელდება და მიღებული იქნება შესაბამისი ზომები, შემცირდება წყლის ტუტიანობა და გაუმჯობესება დალექვა/ფილტრაცია“. აღნიშნული ინფორმაცია ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას. ვინაიდან, საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება, გაწმენდის შემდგომ, დაგეგმილია ზედაპირული წყლის ობიექტებში, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს როგორც ქვის სამსხვრევის, ისე სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებული სალექარების პარამეტრები და ასევე, საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლებში გაწმენდის შემდგომ არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ხარისხობრივი მაჩვენებლები. გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს „საქართველოს მელიორაციის“ კორესპონდენციის თანახმად, სამელიორაციო სისტემების ჰიდრავლიკური პირობები გათვალისწინებულია საირიგაციო დანიშნულებით წყლის გატარებაზე. ამასთან, სემეკის რეგულაციების თანახმად, კომპანიას ეკისრება წყალმომხმარებლებისთვის სათანადო ხარისხის წყლის მიწოდების ვალდებულება. შესაბამისად, დაუშვებელია სამელიორაციო ინფრასტრუქტურაში ჩამდინარე წყლების მოხვედრა, რის გამოც კომპანია წყლის ჩაშვების წერტილებს ვერ შეითანხმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე დოკუმენტში მოცემული უნდა იქნეს თითოეულ ობიექტზე წარმოქმნილი საწარმოო-ჩამდინარე წყლების მიმღები ობიექტების შესახებ ინფორმაცია და წყალჩაშვების წერტილების დაზუსტებული GPS კოორდინატები;

- დოკუმენტის თანახმად, სოფელ მუხროვანის მიმდებარედ №1 სანაყარო განთავსდება 81.11.09.1009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 122 335 $მ^2$). წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ №1 სანაყაროს განთავსების ტერიტორია სრულად არ მოიცავს 81.11.09.1009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში წარმოდგენილი სალექარი ავზების (X-508253, Y-4613441) და №2 სანაყაროს (X-525484 Y-4616993) GPS კოორდინატები არ ემთხვევა წარმოდგენილ shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10326-21-2-202410031653